ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

უნარები დასაქმებისა და თანამშრომლობისთვის - პერსპექტივები საქართველოს რეგიონებისთვის

განხორციელების ვადა: 01.09.2020 - 31.08.2023

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 499 713

მთლიანი ბიუჯეტი: € 62 464 147

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
The Institute for Change and Innovation

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/ici.org.ge

პროექტის ვებსაიტები: ici.org.ge

პროექტის აღწერა:
პროექტის მიზანი

საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების შესაძლებობების გაუმჯობესება სექტორული პარტნიორობის წახალისების, სამეწარმეო განათლების შეთავაზებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვის გზით, რათა წვლილი შევიტანოთ პროექტის სამიზნე რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაში.
ამოცანები

#1: პროექტის სამიზნე მოწყვლადი ჯგუფის წევრთა, ადგილობრივი ბიზნესისის წარმომადგენელთა და საკონსულტაციო ორგანიზაციებისთვის ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების განვითარების პროგრამების განხორციელება

#2: ადგილობრივ ეკონომიკის სექტორში დასაქმების შესაძლებლობების შექმნა არსებული ბიზნესის გაძლიერებისა და სტარტაპების დაფინანსების გზით

#3: საჭირო უნარ-ჩვევებისა და საუკეთესო პრაქტიკის სტანდარტიზაცია პროექტის ფარგლებში დაარსებული ბიზნესკლასტერების გაძლიერებითა და ინოვაციური მიდგომების დანერგვის გზით.

მოსალოდნელი შედეგები:
სამიზნე ჯგუფების განათლებისა და შესაძლებლობების გაზრდის კომპონენტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების შედეგად:
- ქოუჩინგის პროგრამაში სამიზნე მუნიციპალიტეტების მასშტაბით 90 მონაწილე ჩაერთვება
- დუალური განათლების (WBL) სამი პროგრამა დაინერგება სამიზნე მუნიციპალიტეტებში
- სტაჟირების კომპონენტში ჩაერთვება 120 ადამიანი
- რეგიონალური ფორუმი გამოცდილების გაზიარებისა და დასაქმების მზარდი შესაძლებლობებისათვის მოიცავს 100-ზე მეტ დამსაქმებელსა და სამშაოს მაძიებელს
- ადგილობრივი ბიზნესის გაძლიერების კომპონენტით გაცემული სტრატეგიული გრანტების პროგრამაში სულ 6 ბიზნესსუბიექტი დაფინანსება
- სამეწარმეო უნარების სასწავლო პროგრამა მოწყვლადი ჯგუფებისათვის მოიცავს 45-ზე მეტ ბენეფიციარს და მოხდება მათი ბიზნესინიციატივების მხარდაჭერა (თანხის ოდენობა 500-5000 ევრო), სულ მცირე 15 ბენეფიციარი დაფინანსდება თითოეულ რეგიონში, საერთო ჯამში 45
- საზაფხულო სკოლაში ჩაერთვება სოფლის ეკონომიკური განვითარებით დაინტერესებული ახალგაზრდები - 30 მონაწილე
- განხორციელდება ქვე-გრანტების პროგრამა საზაფხულო სკოლის კურსდამთავრებულთათვის -სულ მცირე ორი ქვე-გრანტი თითოეულ რეგიონში (250-2000 ევრო)
- ბიზნესკლასტერის დაარსებისა და გაძლიერების კომპონენტში სამი ბიზნესკლასტერი დაარსება